

რედაქცია

მთლიანად (აბს-პატის) მიდანი, შორაღანის სხლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. შალკის გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисѣ. ВЪ редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის უასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ურარულს ენებზე.

განცხადების უასი

დღი ასრებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

მთ. საქართვებ მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა. დაუბეჭდელი ხტატი ავტომატურად დაუბრუნდება.

გამოდის კვირკობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

საქართველო

ჩვენი უხეირობა

სასიამოვნოა ზაფხულის გატარება სოფლათ. მაგრამ ერთსა და იმავე ადგილას ყოფნა კი მალე მოსწყინდება იმას, რომელსაც არაფერი არ აწუხებს, დარდი არა აქვს აგრე რიგათ ზაფხულის მოსავლის შემოკრებისა, რადგან იმის მაგივრად სხვა მუშაობს და ის პირ-დადებული და გაბტყელებული ზის სახლში და, ნაბუქადონოსორივით ამპარტავენულად ჯიბეში ხელზე ჩაწყობილი, ბოლოთს ჰკრამს სახლის მოაჯირზედ, ან არა და ჩართუქვსნულად დააკანკურებს ცხენსა.

როგორ სასიამოვნო არ არის თვალისთვიან ათას ფრად აჭრალავე-ბული მინდვრები და ველები! შანას თავი დაუკიდნია, მიგრებილ-მოგრებილია ქარის გადამკედ და შესტყერის გლეხის ნამგალს; სიძინდი, ფეტვი, ვენახები, ხეხილი და სხვა ნაგვიანევი მიწის მოსავალი მწვანეთ ბიბინობს, თვალს სჭრის და სტაცებს მოცქერალსა. — ხარობს და ფუფუნებს ბუნება მცენარეთა!

შრინველებიც, აღტაცებულნი ბუნების აღუწერელი მშვენიერებით, ათასნაირად სტვენენ და გულს უხალისებენ, და ხან დარდით და ხან გაუგებარის სიხარულით უფებენ საცოდავ გლეხს — მუდამ მინდვრის შეილს და მუშას — სულსა და გულსა: აქ გვრიტი შემჯდარა ნერგზედ და დაჰლულუნებს თავის ხუნდებს — ბარტყებს; იქ ტოროლა ისარივით გაქანება მალლა და მორთავს გულის საკლავს გალობას; მწყერი — ეს „პურის მტერი“ — ჰკაკიკით მიგოგამს და მიუძღვის „ჩოჩრებს“, როგორც ჩვენში ეძახიან მწყირს ბარტყებს; ცქვიტი მერცხალი დაჰჭრის და სიცოცხლეს უშრობს სხვა და სხვა მწყერებს.

მეოთხეულ ფენის გადადგმაზე ადამიანის თვალის შენიშნავს, რომ ყოველი სულ-დგმული, დიდი თუ პატარა, იბრძვის ცხოვრებისათვის სხვა და სხვა ნაირად. შესანიშნავი სხვა და სხვა ფერობაა ბუნებაში!

როგორ არ გართობს მოცქერალის თვალს და მათანავე ეს მრავალფერობა ბუნებისა არ ჩააფიქრებს კაცს ჩვენ ერთ ფეროვან ცხოვრებაზედ?

მიუბრუნდეთ ჩვენი სოფლების ცხოვრებას. მიუბრუნდეთ კან-დახეთქილ და შრომისაგან დასილაქებულ გლეხს.

შვედაროთ ამის უფერული, ჟანგი-

ანი, შემაწუხებელი ცხოვრება ბუნების სიმშვენიერესთან, მისს მრავალფეროვნობასთან!

შეხალთ სოფლათ თუ არა, თქვენ თვალს წარმოუდგება ისევე ის მწუნარება გლეხისა, რაშიაც აქამომდე იმყოფებოდა. სიცოცხლის ძარღვის ცემა ისევე სუსტი და უიმედოა; შრომა, ოფლის წურვა განუწყვეტელი, მაგრამ განუწყვეტელივე სიღარიბე. ბრძელდება და გრძელდება ეს ასეთი მდგომარეობა იმისი, „არსაიღამ ხმა, არსაით ძხილი“ პოეტისა არ იყვის: მშველელს ჯანი გაეზრდეს, არსაით ცარიელი ლიტონი სიტყვით გულის შემატყვიარი, ისეთი გულის შემატყვიარი, რომელიც ხალხთნ იცხოვრებს, შეეწევა იმის ეკონომიური დაჭირებისაგან თავის გამოხსნას...

სძინავს ჩვენ ქართველს — განათლებულ თუ გაუნათლებელს — მღვთათა ძილითა. „შურს არაინ იბერტყავს ქართველის ეკონომიური და ამისა გამო გონებით დაეარდნილობაზედ. ბევსმის შორიდგან, — ისიც, მკითხველო, შორიდგან, — თითო-ოროლა ხმა, სიტყვა თანაგრძობისა.

რა გამოვიდა შორიდგან ძხილით? სიტყვა სიტყვათვე რჩება. ათასი ელაპარაკე უდაბნო ალაგას ტყეს, კლდეებს, — ცარიელი გამოძხილის მეტი არა დაიბადებარა; ჩივილის უნაყოფოდ ამ გვარი შრომა. შდბნოში კიდევ გამოძახილი ისმის, ხმას გაძღვებს მთა, ტყე; მაგრამ ჩვენ ცხოვრებაში რომ სრულებით ამ გვარს ვერას ვხედავთ? მუმცა ბებრა ყვირიან, ლაპარაკობენ, გულ მხურვალედ ცბრძვიან მეღნით და კალმით ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესობის დამაბრკოლებელ მიზეზებს, მობანე არაინა ჰყავთ. მიდის ფუქად შრომა და კალმის ფხატუნია! ქართველების მომეტებულმა ნაწილმა სრულიად არ იცის, რა ხდება მისს გულისათვის.

მიდის ყოველისფერი ფუქად. არა ჰყავთ ხმის ამომღებლებს მობანე, ამ ტომ რომ ძრიელ შორიდგან ისმის ეს ხმა. ამ ადგილიდგან, სადაც ეს ხმები იბადება, ჩვენამდინ, სოფლებამდინ, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, გაუგებრად ისმის.

ჩვენი ცოტად თუ ბევრად განათლებულნი ჰირნი შექუჩებულან ერთს ადგილს, ოფლისში. სხედან კაბინეტებში, ან რომელიმე სასამართლოს კანცელარიის სტოლზედ. ხანდისხან, როდესაც კუჩაში გამოივლიან, მიიხედ-მოიხედავენ აქეთ-იქით და ძალა-უნებურად დაიწყებენ სჯას ხელების შლით, თითქოს გულ მხურ-

ვალეთაც გლეხ-კაცობის დაჩაგრულობაზედ, მისს მალე გაუმჯობესობაზედ. მსევე ყმარწვილები კანცელარიაში კატასავით შესტყერიან ხელებში საწყალ გლეხს, რა არის — ავგოჯოთ რამეო.

ბლებ-კაცობა ხომ არა კითხულობს გაზეთებს („სასოფლო ბაზეთსა“ და „მუთნის დედას“), რომლებიც იმას მიზნის; მაგრამ მოხდება, რომ რომელიმე წერა-კითხვის საკმაოდ მცოდნე პირი იპოვება რომელსამე სოფელში და ეს წუკითხავს სტატისს. ამ ზოგიერთებმაც რომ გაიგონ, რომ ზოგჯერ იმათთანა პირთაგან იწერება გულ-მხურვალედ დაწერილი სტატიები, რომლებიც ადგილობრივ ცარცვა-გლეჯის და ცარიელი ლაპარაკის მეტს არას აკეთებენ, გეფიცებით, ხელსაც არ მოჰკიდებენ გაზეთს, და ამ გვარად იმ პირთ შრომა უარგებლოდ გაივლის.

მე მქონდა შემთხვევა, ჩემის საკუთარის საქმის გამო, ყოფნად ერთ ზეძო მართლის სოფელში. ამ სოფლის მღვდელი ჰკუას თურმე ჩემობს, განათლებაში სდებს თავსა. მაგრამ ამის სიტყვაში და საქმეში გაუფალი უფსკრული სდევს. ეს ხალხში იდგა და ელაპარაკებოდა ურთიერთის შეწვენაზედ, სიყვარულზედ.

— საყვარელო შეილებო, თქვენ ისრე მდიდრები არა ხართ, რომ ერთმანეთის თავს არა საქიროვდეთ, ამბობდა მღვდელი; ერთს რომ გაუჭირდეს რამე, ან ერთს მეორის ვალი რამე ემართოს, არ უნდა შეაწუხოს.

მართმა გლეხმა აღარ დააცალა ამხედ მომეტებული ლაპარაკი და — როგორც ჩვენში იტყვიან — ყორონტში სწვდა: წამოდგა წინ, დაეყუდა ჯოხზედ და ომანიანად უთხრა:

— ჯერ შენ უნდა გვიჩვენო მაგალითი და მერმე ჩვენგან მოითხოვო. ჩვენ, შენი ჰირიმე, ერთი რეგენი ხალხნი ვართ, ავისა არა გაგვეგებარა და კარგისა... როგორ არ უნდა სთქვას კაცმა, შენ არ იყავი რომ ნახევარ კოდი დრამისთვის კინალამა ზეკუტია ჩამიყენე სახლშია? აბა, რა დაჯერება შენო!

მართლაც და ეს სულიერი მამა, როგორც შემდეგში გეგვი, ხალხს ძრიელ სჯერებია. იმის ბაასს არც როდის არა ვითარიმე კეთილი შედეგი არა ჰქონია, რადგან: ც საქმით „მრულე“ ყოფილა. ამისთანა პირებმა, რასაკვირველია, რაც უნდა სთქვან ხალხშია, არ მიიღება, არ ექნება ჯეროვანი შედეგოქმედება.

ს. ბ — ძე (დასასრული შემდეგში)

დღიური

□ ძავეკანის ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ ამ თვის 15-დამ ფოჩტა რომ ტოვო-მლადიკავკანის რკინის გზის საშუალებით მილი-მოლისო.

პეტერბურლის ფოჩტა ოფილისში ახლა მეექვსე დღეზე მოდის და მოსკოვია — შეხუთებე.

□ მასულ პარასკევს, აგვისტოს 22-ს, აქაურ საზაფხულო თეატრში იყო კონცერტი და სპექტაკლი მარშანსკის მცხოვრებლების სასარგებლოთ. სპექტაკლის გამართვა, ქალაქის დროებითი მოთაგის უფ. მლი-მირზოვის თხოვნით, სომხური სტენის მოყვარეთა იკისრეს, რომელთაც უფ. სუნდუკიანციის კომედიის „პეპოს“ მეორე მოქმედება წარმოადგინეს. მაყურებლების რიცხვი საკმაოთ იყო, ასე რომ ცეცხლისაგან დაზიანებულ მარშანსკელების სასარგებლოთ 150 მანეთამდი დარჩებოდათ.

□ მართს უბედურს შემთხვევას გეწერენ მუთათისიდან: ამ ორი კვირის წინათ იქაურ სასტუმროში „ძოლხიდაში“ ჩამომხტარა ადგილობრივი გიმნაზიის წემეცური ფნის მასწავლებელი, რომელიც ამ ორი კვირის განმავლობაში წყნარად და მშვიდობიანათ ცხოვრებდა თურმე ამ სასტუმროში. ამ თვის 21-ს, დილის 6 საათზე, ფენის ადგილიდამ სახლის სახურავზე გასულა თურმე ეს კაცი, იქიდან გადაეარდნილა და ქუჩაზე დაცემულა. ოთხ-პირ დამტყრეული მამაკედევი საავათმყოფოში წაუყვანიათ და, როგორც ექიმები ამბობენო, ვერ გადარჩებოა.

□ მეორე უბედურს შემთხვევას სამეგრელოდამ გეწერენ:

სოფ. ს ჩაჩიბაოში (ახალ-სენაკის ახლოს) ერთი მოხუცებული ჩაჩიბაია ცხოვრებს. ამ ჩაჩიბაიას შერისხული ეჭი ჰყვანდა, რომელსაც არაფერი თარ საცხოვრებელ ღონის-ძიებას არ აძლევდა თურმე მამულიდგან. აგვისტოს 11-ს ამ ეჭის მოუტაცნია მამის ტყილამ ერთი გარანდული ფიცარი, რომელიც უნდა გაეყიდნა. ზაბრაზებულ მამას უთქვამს: „იმ ფიცარს ჩემი შეილის კუბოთ გავაკეთებო!“ მამოდვენებია შეილს და ისეთ ნაირად დაუკრავს კეტი თავში, საწყალი ახალგაზდა ეჭი იქვე მომკვდარა.

□ ხაშურის ტანციოდამ ისეთი უწყსოებისა და ხშირ ქურდობის ამბავი მოგვდის, რომ მგზავრი გულ-

დამშვიდებით ვერ მოისვენებს თურ-
მე იქაურს სასტუმროებში. მართი
კორესპონდენტი გეწერს, რომ ამ
განმარებულ ქურდობაში და უწყე-
სობებში არა მცირედი მონაწილეობა
აქაურს მამასახლისს მიეწერება.

„ღრობის“ კორესპონდენცია

ზორი, 22 აგვისტოს

როგორც იქნა, ელირსა ზორიც
ერთ ქართულ წარმოდგენას. ამ
თვეში წარმოდგენით, როგორც
გაიგონე, ღარიბი სტუდენტების სა-
სარგებლოდ, ზ. შიხინის „ძლიან
ქიმი“ და „შინამაჩინის მუდი“ და
ხარჯს გარდა აუღიათ სამი თუმანი.

ღიღი თაყბატიყი დაუწყიათ თურ-
მე, ნამეტურ ვაჟებს, წარმოდგენაში
მონაწილეობის მიღებისათვის, მაგრამ
ბევრი „შენი კირიმის“ შემდეგ, რო-
გორც იყო, გაუბედნიათ და კარგა-
თაც წარმოდგენათ, ასე რომ სა-
ზოგადოებას უთქვამს, ასე არ გვე-
გონა, თორემ უფრო ბლომად დაე-
სწრებოდა საზოგადოება. საზოგა-
დოთ თვითვე აქტივობის კარგათ
შეუსრულებია თვისი როლი, მაგრამ
განსაკუთრებით ყურადღება საზო-
გადოებისა მიუქცევია ნ. შაბუნიას
ქალს, რომელსაც სწორეთ მოსაწონ-
რად აუარსებია თავის როლი.

მხურვალის გულით ვისურვებთ,
რომ ამ გვარი წარმოდგენები კვლავ
გაიმეორონ და ეს არ იქნეს თავი
და დასასრული ამ გვარი საქმისა.

თეოდ. ძანდელია

ქართული წიგნების მალაზიასი

მისაც ახსოვს, „ღრობაში“ გაკ-
ერთ იყო ამას წინეთ მოხსენებული
ორიოდე სიტყვა ქართულ წიგნების
მალაზიასზე. ამ მალაზიას მნიშვნელო-
ბაზედ მე მინდა ესთქვა კიდევ რამ-
დენიმე სიტყვა იმ კაცების მოსამე-
ნით, ვისაც ცოტაოდნათ გული შე-
სტკივათ ჩვენს საზოგადო მდგომარე-
ობაზე.

ჩვენში ახალი საქმეა ქართუ-
ლი წიგნების მალაზიასი და
არსება. შოველს ამისთანა საქმეს,
როგორც ყოველგან საზოგადოდ,
ჩვენში უფრო, სარგებლის მაგიერ,
ზარალი მოსდევს, რასაკვირველია
კომმერციული მხრით. ეს ცხადია.
მაგრამ, თუ კი იმას მაიღებთ მხე-
დევლობაში, როგორი საქროებაა
ებლა ჩვენს საზოგადოებაში ქართუ-
ლი წიგნების გავრცელება, მაშინ
ჩვენ უნებლიეთ გვაფიწყდება პირადი
სარგებლობისადმი ლტოლვილება.
ამით ის არ მინდა ესთქვა, ამ გვარ
საქმეში კომმერციული მიზანი სა-
ჭირო არ არის—მეტეი, არა. ღიან
საჭიროა და მიუცილებელიც, მაგრამ
ჩვენს სახეში ამ მიზანს უკანასკნელი
ადგილი უჭირავს.

როგორც ერთს მეგრულ არაკში
გამოიხატება: „ლორენთი მიშველეო“,
როცა მეგრული წყალში ჩაეარდა,
ხელები ნებაზე მიუშვია და წყლის

სიღრმეში ინთქმებოდა, რომ ის ერთს
უეცარს ხმას არ გადაერჩინა: „მეგ-
რელო, ხელი გააქნიე და გადარჩები
დახრობასო.“ — უზრუნველობა სა-
ზოგადო ხედრია ქართველებისა,
იფიქრებ და კარგათ რომ გადახედავ
ებლანდელ ჩვენს ცხოვრებასა, თით-
ქმის რწმუნდები ამის სინამდვილეში
და წამოროტავ მართლა, რომ ზეცას
ურგუნებია ქართველებისათვის წი-
ლად თვით მდგომარეობაზე მოუ-
ფიქრებლობა. და უნდა ვეუცადოთ
ზეციურ საიდუმლო ხმას, მეტი რა-
ლა დაგერჩინა, თუ ჩვენით ვერა მიე-
ხედით; მაგრამ პირიებისა და გულ-
ხელ-დაკრფილებისათვისა ზღვის ტალ-
ლა უმოწყალოა.

რც ზევით ესთქვით, თითქმის
ფაქტი გვეუბნება ამას ქართველზე;
მაგრამ მე კიდევ ჩემთვის სხვა ჰაზრი
მაქვს შედგენილი: ბევრი ფაქტით
თავის შეწუხება, ხომ არა და არა,
მაგრამ არც ასე სულ წყალ წაღე-
ბულია ქართველი. ხანდისხან. ხომ
ერთხელ-ორჯელ მაინც წელიწადში
— მოუვა ერთი ქეფი და ინატრებს
რომელიმე წიგნის წაკითხვას. მაშინ
იმ—ცხელს თუ არა, თვით გულზე
თუ ვერ შეასრულა თავისი ნატრა,
წადილი, ხომ გაგრილდა მისი გული?
ხშირად შემხედრია. რომ ვენმეს
მოსვლია სურვილი ჰქონდეს რა ი-
მე წიგნი, ან უთქვამს: ეს და ეს
წიგნი რომ მქონდეს, მიიღო რა და
მიღირსო. სიტყვები: „რამე წიგნი
და მიიღო რა და მიღირს“ ისეთ კე-
თილშობილურ ლტოლვილებას გვი-
ხატვენ, რომ არ შეიძლება უარეყოთ
საჭიროება შესახებ ქართული წიგ-
ნების გავრცელებისა და წინააღმდეგ
ამისა, რომ არ მოგვიდოთ ხელი ამ
საქმეს.

აი ყველა ამ გარემოებებმა დაჰ-
ბადეს ჩვენში ის ჰაზრი, რომ დაგვე-
არსებია საქართველოს საშუალო ად-
გილზე ისეთი წიგნის მალაზია, რო-
მელსაც დაეკმაყოფილება ყველა
ქართული ენის მოყვარე და შესწა-
ვლის მსურველი ქართველები, რო-
მლებიც ქართულს ენას უყურებენ,
როგორც ერთს უმთავრესს მფეთქავ
ძარღვს ჩვენი არსებობისას, და გაე-
ადვილებინა მოპოვება ყველა იმ
ქართული წიგნებისა, რომლების უ-
მეტესმა ნაწილმა არც სხელი იცის
და არც ის—თუ ქართულ ენაზე
რამე წიგნია გამოცემული.

ამნაირად ეს მალაზია, როგორც
ზევით ესთქვი, ერთის მხრით გაუა-
დვილებს ყველა მსურველებს ქარ-
თული წიგნების მოპოვებას.

მეორეს მხრით კიდევ ის დანიშ-
ნულება ექმნება, რომ ყველა წიგნე-
ბის გამოცემლებს გაუსაღებს თა-
ვიანთ გამოცემულ წიგნებს, რომ-
ლებსაც, როგორც ღღეს ეხედეთ,
ყოველივე შრომაზე უფრო ეჭირათ
გასაღება; მოუხერხებლობისაგამო, ან
დაჰკარგვით, თუ სადმე გაუზგანე-
ათ, ან არა და დაუყრიათ თაროებ-
ში ბოზლების თავ-შესაფარათ. მა-
მომცებლები ძილს ეპირებიან, იმე-
დი დაჰკარგვით, რომ ახალი წიგნი
გამოსცენ—ვერ გაასაღებენ.

აბა ერთი მუშა ახლოგზდობამ
დაინახოს, რომ ქართული წიგნები
ერცელდება, აბა მიესცეთ იმას იმე-
დი ამ საქმეში—და მაშინ ენახეთ,
როგორ გამოაქყ ტენ ისინი თვალებს
და დაიწყებენ მუშაობას. ჩვენ ღი-
დის კმაყოფილებით ამ ახლოგზდებს,
წიგნების გასაღების გარდა, წიგნე-
ბის გამოცემაშიაც ხელს მოუწყობთ,
რამდენათაც შეგვეძლება და საქ-
რო დაერჩებით ამ შემთხვევაში.

ახალ-დაბადებული მალაზია ეცდე-
ბა ყოველ გვარი დბრკოლება მოუს-
პოს მთხოვნელს და გარდა ამისა გა-
უადვილოს ყველას საქმის დაჭერა
თავისთან; მაგრამ თუ კი საზოგადო-
ება დარწმუნდება, რომ ეს საქმე სა-
ჭირო და სასარგებლო საქმეა, ჩვენ-
თვის ერთნაირი იმედის მოპოვები და
გულის გამმაგრებელი იქმნება, გა-
მოგვიჩნდებოდეს ყველა მარგებში
რამდენიმე, ან თითო-თითო მაინც
ისეთი პარები, რომლებთანაც საქმე
დაეჭიროთ და მოგვეხმარონ წიგნე-
ბის გავრცელებაში. ამ კაცების და-
ჯილდოებაზე, გაგზანელი წიგნების
პროცენტებით, ვერას ვიტყვით ჩვენ
ჯერ-ჯერობით, რადგან, პირველად,
ჩვენი მალაზია ახლოგზდაა და, მეო-
რეთ, თვითონ მალაზია თავის წვრილ-
მანი ხარჯის დასაფარავად ძალიან
ცოტა პროცენტებს ღებულობს
თვით წიგნების პატრონებისაგანაც.
ამ შემთხვევაში ყველა პატიოსანი
კაცის ჯილდო ის არის, რომ ის
გრძნობს კეთილი საქმის გაკეთების
სარგებლობას და კმაყოფილება
იმით რომ, კეთილ საქმეში ხელი
აქვს გარეული და აკეთებს იმას, რა-
მოდენათაც გარემოება ნებას აძლევს.

თუმცა ბევრი გეპირდებიან და
მხურვალე სურვილი გამოგვიცხადეს
ამ გვარი შემწეობისა სხვა და სხვა
ადგილებიდან. მაგრამ სახელდობ ამ
ქამად არ ეხსენებთ არაფის, გარდა
თ. ანტონ ნაკაშიძისა, რომელიც
სიტყვას საქმიოთაც ამართლებს და
რომელსაც ვერეთი გულითადი მო-
წაწილება აქვს მიღებული ბურია-
ში ყოველივე სახალხო საქმეში, რო-
გორც მაგ. შკოლების მდგომარეო-
ბაში, სასაფლო მალაზიებზე მოლა-
პარაკებაში გლახებთან, ქურდობის
მოსპობაში და სხე.

მათაგებთ ამ ორიოდე სიტყვით
ლაპარაკს ღღეს-ღღეობით ქართული
წიგნების მალაზიასზე და ვისურვებთ,
რომ ქეშმარიტი მამულის-შვილები-
საგან თანაგრძნობა არ მოგვაკლდეს.
მსთხოვთ აგრეთვე ყველა წიგნების
გამომცემლებს, ნუ დაგვიგვიანებენ
გასაყიდი წიგნების გამოგზანვას.

სხომის ვიტყვით ჩვენ დაწვრილე-
ბით მალაზიის პირობებზე, წიგნე-
ბის სიაზე, აგენტებზე და ქართუ-
ლი წიგნების გამოცემაზე, რასაც
მალაზია იკისრებს თავის თავზე. მა-
ნამ, თუ საქროება, მოითხოვს, ეგ-
რე მოგეწერეთ: **Въ Тифлисъ, въ
книжный магазинъ Эпифана Кала-
ндазе и К°. На Михайловскомъ мос-
ту, въ зданіи Мирзоева.**

მკითხვე ძალანდაძე და ახე.

ამ აგვისტოს 18 სექტემბერ-
ბურღში დ უმარხავთ ერთი ნიჭიერი
მწერალი მასილ ქუროჩინი (სატი-
რიკული გაზეთის „ნიკრის“ რედაქ-
ტორი და ბერანჭეს ლექსების მთარ-
გმნელი) მიცვალებული იმ ვე (მოლ-
კოვის) სასაფლოზე დაუმარხავთ, სა-
დაც საუკეთესო რუსეთის მწერლე-
ბია დამარხული (ბელინსკი, ღობრო-
ლიუბოვი და პისარევი). მასვენება-
ზე ბევრი რუსის მწერლები დასწრე-
ბია და „ბირჟის შწყებების“ რედაქ-
ტორს უფ. პოლეთიკას სიტყვა წარ-
მოუთქვამს. ამბობენ, რომ მიცვა-
ლებული ექიმის გაუფრთხილებლო-
ბით იყო მოწამლული და იმით მო-
კვდაო.

როგორც ერთი რუსული გა-
ზეთი გვაცნობებს, მმართველობას
გზნახვა აქვს, რომ ყველა ნოტა-
რიუსების კონტორაში „საჩივრის
ქურნალი“ გააჩინოს, რომელშიაც
ყველას, ვისაც რამ უკმაყოფილება
ან საჩივარი ექნება ნოტარიუსზე,
შეუძლიან ჩაწეროს. ამ გვარი სა-
შულებით, მთავრობას იმედი აქვს
მოსპოს უკანონოდ ფულის გადახ-
დევინება, რომლისთვისაც ზოგიერთ
ნოტარიუსებმა ძლიან ხშირად უჩი-
ვიან.

თურქისტანის ღენერალ-ლე-
ბერნატორი ჭონ ძაუჭმანი იმ არე-
ულობაზე, რომელიც ამ ქამად მო-
კანშია, სხვათა შორის, იწერება, რომ
რუსის ჯარმა დაამარცხა 5,000 აჯან-
ყებულის ჯარებიო და ახლა მე ჯა-
ჯით ხოჯენტრდამ მოკანში მიედი-
ვარო და იმედი მაქვსო, რომ მოკ-
ლე ხანში ეს არეულობა სრულიად
დაეაშვიდობო.

რუსო ქვეყნები

ოსმალეთი. სტამბოლი, 2
აგვისტოს („ღრობის“ კორესპონდენცია).
მტტომანის იმპერია ავთამყოფობს.
სწეულება, რომელითაც იგი შეუ-
ძლებლობს, მდგომარეობს ხალხის
დაღარიბებულს მდგომარეობაში და
მმართველობის ფინანსიურს კრიზის-
ში. ამ გვარ გაჭირვებაში ხალხი
შესჩერებია მმართველობას და მმარ-
თებლობა ხალხს, ერთი მეორესაგან
მოელის განმაკურნებელ ძალას.

ეს შეუძლებლობა ოსმალს სა-
ხელმწიფოსა არ არის ახალი მოე-
ლენა მის ცხოვრებაში: იმას აქვს
ქრონიკული ხასიათი; მაგრამ ამ ქა-
მად კი უფრო განძლიერდა.
მინ არის მიზეზი ოსმალს ამ
გვარი მდგომარეობისა?
რასაკვირველია, მმართველობაა
და არა ხალხი, ის მმართველობა,
რომლის წარმომადგენელი თავიან-
თი ანკარული მიდრეკილებით, გან-
ცხრობითი ცხოვრებით და უმეცრე-
ბითა აუძლურებენ ზნეობითად და
ეკონომიურად მთელ სახელმწიფოს
და ავღებენ მას გამოუხსნელ ვალ-
ში, რომლის გარდამხდელად, რასა-

კვირეულია, მას ვგულებოდა იგივე ხალხი.

შარიმის ომის დაწყებამდისინ სათათრეთის არ ჰქონდა არა ვითარი გარ განი ვაღი; ავით იყო თუ კარგად. მისი მმართველობა მართი და სახელმწიფოს, აკმაყოფილებდა მის მრავალ ნაირ საქაროებას შინაგანი საშუალებითა და მხოლოდ ხაზინის შემოსავლიდან. მაგრამ შემდგომ, როდესაც შერობიელ სახელმწიფოთა შეიკანეს თავის მფარველობის ქვეშ და მისცეს მას ადგილი თავიანთ საერო-თანშეკრულებათაში, მაშინ სათათრეთმა იწყო ვალის აღება შერობიელთ და უპირატესად იგლისის მანკარებისა და კაპიტალი-სტებისაგან; ასე რომ თვით შარიმის ომის დროს ისესხა ლონდონის ბანკორებისაგან ორ გზის 56 მილიონი მანეთი. ეს იყო პირველი მისი გარეგანი სესხი.

ამ გვარი ადვილათ ფულის მოგება გაუგებრივლდა თათრის მმართველობას, მიჰყო ხელი სესხს და ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში შეაგროვა ვალი 1,400 მილიონი მან.

ახლა ენახოთ, თუ როგორ სურათს წარმოგერდგენს მსმალოს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტი. მთელი წლის შემოსავალი მათრის ხაზინისა შეადგენს 21.711,764 გირვანქა სტერლინგს, ან ჩვენს ფულზედ 151 მილ. მან. გასავალი 26.299,178 გირ. სტერ. ანუ 184 მილ. მან. *)

მაშასადამე გასავალი ემატება შემოსავალს 33 მილ. მანეთით, რომელიც შეადგენს წლის დეფიციტს. მალში და სარგებელში მმართველობა იხდის წელიწადში 105 მილ. მან. მაშ მას ურჩება წლიურის შემოსავლიდან მხოლოდ 46 მილ. მან. და ამ ფულიდან 14 მილ. მან. დანიშნულია ხონტქრის საქაროებაზედ და მის არემზედ, მაშასადამე მას ურჩება მთელი სახელმწიფოს მართვისათვის, ესე იგი: ჯარის, ფლოტის, ადმინისტრაციის და სხვა უწყებების საქაროების დასაკმაყოფილებლად, მხოლოდ 32 მილ. მან.

ახალი საქმეა, რომ ასე მცირე ფულით მართვა სახელმწიფოსი, რომელშიაც ცხოვრებენ ჯერ მარტო შერობის სათათრეთში 30 მილ. ქვე-შიერდომნი, — შეუძლებელია, მაშნებით თუ უნებურად თათრის მმართველობამ უნდა მიიქცეს ისევე სესხისადმი, მიუმატოს ისევე დიდს ვალს კიდევ ვალი!

სამწუხროდ როგორც ხსენებული მმართველობისა, ვერეთე მის შერობიელ მოვალეთა ამ უკანასკნელ დროს, მოხდა ერთი გარემოება: წელს გაზაფხულზე, ლონდონში გამოვიდა ერთი ბროშურა, სახელად: „შინანსიური და პოლიტიკური დაცემა სათათრეთისა.“ ავტორი ამ ბროშურისა უ. ლუის შერლეი, სახელგათქმული მწერალია იგლისში, კარგად და ზედმიწევნით მცოდ-

*) ეს ბიუჯეტი დამტკიცა სულთანმა ამ წლის 3-ს ივლისს.

ნე აღმოსავლეთის და განსაკუთრებით მსმალოს საქმეებისა. ამასთანავე კაცი მიუდგომელი და მართლის მიხრობელი. ეს უ. შერლეი თავის ბროშურაში სხვა და სხვა ფაქტებით და საბუთებით ამტკიცებს, რომ სათათრეთის ფინანსიური მდგომარეობა მეტის-მეტად ცუდათ არი-სო, რომ ის ამ მოკლე ქაშში უნდა დაიშალოსო; ამისთვის აგონებს და ურჩევს ლონდონის ბანკორებს, რომ მათ აღარ მისცენ სესხით ფული სათათრეთს, რომელიც დღე-დღეზე გა-კოტრებას უნდა მოელოდესო.

მქვენი მტერი, რაც ამ პატარა წიგნმა საქმე მოახდინა ლონდონის კაპიტალისტებში! სათათრეთის კრედიტორებს. ბანკორებს თავზედ თმა აეფუშათ, აღელდნენ და აშფოთდნენ, რადგანაც მათი რწმუნება და ნდობა სათათრეთზე შერყეული შეიქმნა.

ამბობენ, რომ შერობიელებისაგან ნასესხი ფულისაგან ნახევარი არ მოხმარებია სახელმწიფოს, მის ეკონომიურ და ზნეობითს საქაროებას; სესხის ზედ-მოქმედება უფრო დაეტყო თურმე ხონტქრის სასახლეების გამრავლებას, მის ზომავდ-გარდასულ განცხრობით ცხოვრებას, მისი ვეზირების და ფაშების ჩასუქებულ მდგომარეობასო.

ზოგიერთ უწყების მოსამსახურეებს, ჩინოვნიკებს ხუთი და ექვსი თვია, რაც ჯამგირი არ მიუღიათ, რასაკვირველია, მათი დრო-გამო-შვებით ჯამგირის მიუღებლობა არ რჩება უმოქმედო მათ ზნეობა-ზედ, უიმისოთაც საკმაოდ დატე-პულზედ. სარწმუნო პირებმა დამარ-წმუნეს, რომ სტამბოლის სამსაჯუ-ლო სასამართლოებში საზოგადოდ დარიბი მდიდართან მუდამ გამტკუ-ნებულიაო და ადმინისტრაციული უკანონობა და თვით-მნებელობა არავის აკვირებს ახლა სტამბოლშიო.

შერობიელების გაელენას სტამ-ბოლში აქვს ხასიათი უფრო ექს-პლუტაციათა, ვინემ ცივილიზაცი-ური; რაც სათათრეთში ერცხლის და ოქროს ფულია, ისინი ბოჭვენ და გააქეთ თუ თავიანთ ვალში და სარგებელში და თუ თავიანთ მანუ-ფაქტურის და სხვა გვარ საქონელ-ში, რომლითაც მოფენილია მთელი სტამბოლის დუქნები და მაღაზიები. შემდგომ ამისა, რასაკვირველია, სა-ფუძელიანათ უნდა გეჩვენოს საზო-გადო და ყოველ მხრეი ჩივილი აქ უფულობაზედ.

მაგრამ ერთი ფინანსიური გარე-მოება შეადგენს მსმალოს უპირა-ტესობას სხვა შერობიელს სახელ-მწიფოებზედ: ეს გარემოება მდგო-მარეობს იმაში, რომ მთელს სათა-თრეთის იმპერიაში არ არის ხმარე-ბაში ქ-ლადის ფული, რომელიც შეადგენს, როგორც მოგვხსენებთ, ვალს მმართველობისას თავის ქვე-შერდომთადში; მთელი სახელმწი-ფოს შემოსავალ-გასავალი, აღებ მი-ცემა და ყოველ გვარი ე-ქრობა წარმოებს აქ მხოლოდ მიტლიურ ფულზედ, ესე იგი, ოქროზედ, ვერ-ცხლზედ და სპილენძის ფულზედ.

პეტრე ჩარევი

ვაზის ახალი ავთმყოფობა

VI

შველახე შესამჩნევი ნიშანი ის ნიშანია, როდესაც ქირი ვაზს გარეთ გამოაჩნდება. ნიშანი ეს არის, რომ ვაზს ფესვებზე გამობერილ მუწუკებს და ნასკეებს, კვანძებს დაყრის ზოგს დიდს და ზოგს წვნიკს. ეს ნასკეები იმისგან წარმოსდგება, რომ ვაზის წილს საკუთარი სახნელეტი იარალი აქვს, ამითი ფესვსა სხნელეტს, სწუწ-ნის და გამოშრობამდინ წურბელა-სავით ზედ უკადია. მითო ნასკეი ნახნელეტი ადგილია, რომელზედაც რამდენიმე ხანი ფილოქსერის გროვა სცხოვრებს. მასუკან ფესვი რომ ლობას დაწყებს და ფილოქსერას საზროდ ეცვლება, ამ ფესვს თავს ანებებს. ზოგი ფრთიანათ იქცევა, მიწილამ ზეზე ამოდის და ფრინავს; ზოგი სხვა ქორფა ფისებზე გადადის, ახალი საზროდს საწუწნელათ. ამ ნახნელეტ ალაგებზე ახალი ნასკეები წარმოსდგება: ზოგნი უფრო დიდხან ფესვზე გადადიან რამდენიმე გრო-ვით და ერთათ იმდენი შეიკრიფება, რომ თვლა არ შეიძლება, ახლო-ახ-ლო ნახნელეტებით დიდს ალაგს იქერენ, ფესვს სწუწნიან და ბოლოს ვაზს ფესვები ულპება.

ეს კიდევ ერთი დამტკიცება იმ ახრისა, რომ ფილოქსერა ავთმყო-ფობის მიზეზია, წინა ჩნდება, და არა თუ ფილოქსერა ავთმყოფობის შემ-დეგა სჩნდებოდეს: იგლისის სახელ-მწიფოში, ირლანდიაში სცადეს, ამო-იღეს ფლოქსერით საესე ვაზი, ეს წვნიკი წილი დიდს მეცადინეობით სულ ერთიანათ გააყრეინეს და ახალ მიწაში გადარგეს. მაშინ იხარა, რო-გორც წინათ ეხარა და ფესვები გა-იმაგრა.

მასაც უნდა და ღონისძიება აქვს, ფილოქსერის ხასიათი შეიტყოს, სა-ფრანგეთში შინ ყვავილსავით ინახ-ვენ ქილაში დარგულ ვაზსა და სცდიან ყველაფერს, რაც ფილოქ-სერისა უნდათ შეიტყონ. მაშლილ ადგილასაცა რგვენ სახლის ახლოს, და ქილაშია თუ გარეთ, ღონიერსაც და სუსტსაც, ახლოგაზდასაც და ძველ-საც სცდიან, უჩნენ ფილოქსერას და თვალყურს ადევნებენ, რა ემარ-თება ვაზსაო.

შველა ზემოხსენებულისაგან სჩანს, რომ ვაზის ახალი ავთმყოფობის ნა-მდელი მიზეზი ეს წილია, ფილოქ-სერაა.

ბევრს სხვა ღონისძიებას და წა-მალს ამბობენ ფილოქსერისაგან დახ-სისათვის.

მოიგონეს ფილოქსერის ამოხრო-ბა წყლითა; ამისათვის ეწინაშე ბლო-მათ წყალს უშვებდნენ, აგუბებდნენ, რომ დედამიწა კარგა გაქლინთული-ყო. მიწა კარგა იქლინთებოდა, მა-გრამ ფე ვებსა და მიწას შუა იმდენი ჰაერი რჩებოდა, რომ ფილოქსერა ვერ იხრობოდა. ამას გარდა ფილოქსერა კიდევ იმითი რჩება, რომ როდესაც ჰაერი იკვრის და თავისუფლათ ვე-ლარა სუნთქავს, ამდროს მიიძინებს.

ამ ძილში კარგა ხანი რჩება, ასე რომ ერთს ზამთარს მთელი ცხვეთა დღე წყალში შეინახეს უფრო ახალია ხრობაო; მაგრამ მაინც კიდევ მოცო-ცხლდა.

ცარიელი ეწინის მორწყვითა და გუბებების დაყენებითაც არა გამო-დის რა, თუ ამასთან მალ-მალ სა-სუქი არ დააყარეს და ქრის ზოგი-ერთი საწამლაეი არ გაუტრის.

შეეკი გამოჩენილა, რომ მორ-წყვის შემდეგ ვაზს ავთმყოფობა უფრო მალე ემართება და მალეც აფუჭებს.

მართალია, ზოგიერთი მამულის პატრონი დიდს შრომით და ტან-ჯვით ცოტადნათ ერეოდნენ ავთ-მყოფობას, მაგრამ იმათი ხმარებუ-ლი საშუალება წყლის მიშვება მთელ ეწინაში და ღონისძიება მტრის წარ-ღენა არის *)

ფილოქსერის გაწყვეტისათვის აქა-მდინ ხმარობდნენ და ახლაც ხმა-რობენ საწავლაეებს, როგორც გოგირდ-მეუ-ნახ მიროვანი პ.ტ.შია (sulphocarbonate de potasse) და სხვა ამისთანა საწ მლაესა, მაგრამ რადგა-ნაც ვაზის ფესვებთან მაინც და მა-ინც ყოველთვის წმინდა ჰაერი რჩე-ბა, ფილოქსერა კიდევ საკმაოთ გა-დარჩება ხოლმე. პატარა ადგილას ეს საწამლაეი და ღონისძიება ამ ვა-ზის წილსა ადვილათა სწყვეტს, მა-გრამ გაშლილ ალაგს საცა ზერები და ეწინაები ერთმანერთს აკრავს, ამ ღონისძიების ხმარება თითქმის ვერაფერსა შეეღის; მართალია ბე-ერი ეხოცება, მაგრამ რადგანაც წმინ-და ჰაერი ფესვებთან საკმაოთა რჩე-ბა და საწავლაეი ბევრს წილს არ ეკარება, კარგა ბევრი რჩება. აქამ-დინ ამ ღონისძიებას ძლიან ბეერ-სა ხმარობდნენ და უებარი ეგონათ, მაგრამ ახლა კი თან და თან თავს ანებებენ.

ახლა უფრო სასუქსა ხმარობენ, რომელშიაც პატარა ანუ ნაცარ თუთქს ბლომათ ურევენ და აგრე-თეე აზოტიან (გვარჯილმზად) მასა-ლებსა. ამ სასუქის შემწეობით და-სუსტებული ვაზი ცოტათი სულს იდგამს. შოთოლს იღებს და ცოტა მომატებით ყურძენს ისხამს. მაგრამ ეს არის რომ ამ ღონისძიებითაც ვა-ზი თავის მტერს ვერ უმაგრდება: რაკი ერთხელ მტერი დაესხა, დღე-ები უმოკლდება.

მრთის სიტყვით, ვერა საშუალება ვერ მოსძებნეს ისეთი, რომ არამც-თუ ქია ამოწეყვითათ, ისეთი შეველა ვერ მოხახეს, რომ ვაზს ისე გაძლე-ბა მაინც შეეძლოს, როგორც ნაც-რით ავთმყოფობის დროს სძლებ-და და ან სხვა ავთმყოფობის დრო-სა. მართალია, ისეთი ვაზის ჯინშია,

*) შრანტუხებმა ფილოქსერის წყლით დახრობის გამო ეს ანდაზა მოიგონეს: ნოემ ნახო, რომ იმის ვაზებს ფილოქსერა და-ხვევია, მიხვდა, რომ ვაზს სულ ძირიანათ ამო-მიგდებოდა და ღმერთს შეეხვეწა: მიშველეო. ღმერთმა უბრძანა ნოესა: — შენ შენს თა-დარიგს შეუდექი, რომ თავი გადირჩინოო და მე ასეთ წარღენას მოვიყვან, როს მე ფილოქსერას სულფორიანათ დავაზრობო.

რომ ფილოქსერას უძღვებ. ეს არის ამერიკის ჯიშის ვაზი, რომელიც ფილოქსერა შეჭერა მეროპის ვაზებზე. ეს ვაზები ღონიერი არიან, მაგრამ მეროპის ვაზები ისეთი ნაწი აგებულობისანი არიან, რომ ვერ გაუძლებენ და ვერც გაუმავგრდებიან ამ ავთამყოფობას.

(დასასრული შემდეგში)

ნარევი

მთი პატარა დამამატილი სცენა მომ ხდარა ამას წინათ ქალაქ ხერსონში: ცოლ ქმარი გაყრილან და შვილის თაობაზე უკა-ყოფილება მოსვლიათ: ვის უნდა დაგვჩჩხო-საქმეს სასამართლოში მიუღწევია. მოსამარ-თელ მისულა ამ ოჯახში, სამივე ვრთს ოთახში შეუყრია, ცოლი ერთ კუთხეში და-უსუგამს, ქმარი მეორე კუთხეში და იმათი სამი წლის ვაჟი აუყანია და შუაგულ ო-თახში გაუჩერებია. ჯერ ცოლ ქმრისთვის უკითხავს: თანახმა იქნებოთ, რომ ვისაც თვითონ ყმაწვილი ამოვირჩევთ, იმას ერ-გოსო? როცა ორივენი დათანხმებულან, მოსამართლეს უთქვამს ყმაწვილისთვის: რო-მელიც უფრო გიყვარს, იმასთან მიდიო-ბავში დედისაქენ გაქცეა, და ამნირად მშვიდობით გააუადე ამათი დაეა.

* * *

პეტერბურგში გადაიცვალა ამს წინათ ებრაელების რაბინი ნეიმანი, რომლის დასა-ფლავების დროს ურიებს შუა საშინელი ჩიუბი და აკლ-მკალი მომხდარა. მიცვა-ლებული ისეთი კუბოთი უნდა დამარხათ თურმე, როგორც ქრისტიანებს მარხვენ; ურიების ძველი წესით კი კუბო უძარო და გარედამ შემოუტყრელი უნდა ყოფილი-ყუ. ამის გამო ძველი და ახალი აღთქმის ურიებს შუა მომხდარა ჩიუბი; ძველ მტკიცე ურიებს მიუტყნით კუბო, ძირი მოუტე-რევიან, გარედამ შემოტყრული ფარია აუღლე-ჯიან და ისე დაუმარხავთ.

* * *

ბარბაღლის უახვიანა თვის უფროსი შვილის მენატრისათვის, რომ ვერცოგო-ვიდელ დაქრიდების სასარგებლოდ ხელის-მოწერა გამართოს და ფული მოატროვოს. ამ საქმისათვის პირველად თვითონ შეკუ-რავს 100 ფრანკი.

* * *

პარერას კუნძულზე მიცვალებულა ბა-რიბაღლის ცოლი — შრანჩისკა, რომლისგა-ნაც ბარბაღლის ოთხი შვილი ჰყვანდა (ამაში მხოლოდ ორი დარჩენილი ცოც-ხელი); ამ ორ მცირე წლოვან შვილს გარ-და, ბარბაღლის ერთი 16 წლის ქალი

ჰყავს, რომელსაც პირველი ცოლის სახე-ვრად ანიტა ჰქვია. შრანჩისკა მესამე ცო-ლი იყო ბარბაღლის; პირველი ანიტა 1849 წელს მოუკვდა, როცა რომს და-ცივის შემდეგ ავსტრიელებსაგან გაქცა. ამ ცოლს ხელში ჰყავს ბარბაღლის ორი ვაჟი: მენატრი და რინიოტრი და ერთი ქალი (სანციოს ცოლი). 1863 წელს ბარბაღ-ლიმ დაიწერა ჯვარი ერთ ახალგაზდა მილა-ნელ ქალზე; მაგრამ მეორე დღესვე გაეყრა.

სამაჯრო

△ ინტენდანტის სამმართველო აცხადებს, რომ ახალქალაქის უფლის სამმართველოში იქნება ვაჭრობა ახალქალაქის ჯარის მაღა-ზისათვის ხორბლის და ქერის დაქვის თაობაზე. წელიწადში 5,803 ჩეტყერტი ხორბალი უნდა დაიქვას და 320 ჩეტყერტი ქერისა. იჯარა ორ წლით მიეცემა. მაჭრობა დანიშნულია ამ 2-ს ენკენის-თვის ახალქალაქში.

△ ინტენერის სამართავლო გამოიხმობს მსურველებს, რათა იქსრონ იჯარით, მერგის მაზრაში, ბურტუყაევის სიმაგრის ციტადელს აშენება. ამ იჯარისათვის დანიშნულია 10,231 მანეთი.

მაჭრობა იქნება მთილისში სამართავლო ინტენერის სამმართველოში 4-ს ენკენისთვის 1875 წელს.

△ მთილისის ქვევითა ინტენერის სასა-ვლეტლის გამგეობა გამოიხმობს მსურველებს, რომელთაც მსურთ იჯარით აღება ამ სასა-ვლეტლისათვის ხორცისა და სხვა ხორცისა და აგრეთვე თეთრი პურისა, დღეში 10-14 ფუთამდი. იჯარა ამ 1 სექტემბერიდან მო-მავლ 16 ივნისამდინ არის. იძლევიან 10,000 მანეთს.

მაჭრობა დანიშნულია ამ აგვისტოს 29-ს.

△ ბზის-მკეთებელი ტამიტტი (Строительный-дорожный воинтер) გამოი-ხმობს მსურველთა, რათა იქსრონ იჯარით მოტანა ქვიშისა და დამტრეული ქვისა სამი წლის განმავლობაში, 1876 წლის 1 იანვრიდან ვიდრე 1879 წლის იანვრამდი რენენისათვის მთილისიდან მრმონამდი შოს-სეს გზისა და ალექსანდროპოლის გზის რტოთი დელიქვირამ ბამაჩემინამდი, ხოლო 1877 და 1878 წლებში ბამაჩემინამდი ქარაკლისამდი. მთელი გზა სამ ნაწილად არის გაუაფილი: 1) მთილისიდან ნოვო-პეტროვის სტანციამდი, 2) ნოვო-პეტროვის სტანციამდი დელიქვით ქარაკლისამდი და 3) დელიქვირამ მრმონამდი.

პირველ უჩასტკაში საჭიროა: ა) მთილისიდან სადარლომადი ყოველ წელიწადს 144,6 კუბიკური ოთხ-კუთხი) სა-

ფენი სხებენი (დამტრეული ქვი) და სამი წლის განმავლობაში 433,8 სექტ. ათით საყენი 16 მანეთად, სულ 6,940 მან და 80 კაბ. ბ) სადარლომადი ნოვო-პეტრო-ვამდი ყოველ წელიწადს 546,96 კუბიკ საყენი, სულ 1640,88 სექ. და თითო საყენი—22 მან., სულ 36,099 მანეთის და 36 კაბიკის.

მეორე უჩასტკაში: ნოვო-პეტრო-ვიდამ დელიქვამდი წელიწადში 379 კუბიკ-სექ., სულ 1,137 სექ; თითო საყენი—14 მან. სულ 15,926 მანეთის და 379 სექ-ქვიშა, თითო საყენი 7 მანეთად. 2) დელიქვირამ ბამაჩემინამდი წელიწადში 90 კუბიკ-სექ. ქვი—სექ. 14 მან. და 36 ქვიშა, სექ.—7 მან. 3) ბამაჩემინამდი ქარაკლისამდი ამავე ანგარიშით.

მესამე უჩასტკაში: დელიქვირამ მრმონამდი საჭიროა ყოველ წელიწადს 600 კუბიკური საყენი სხებენი და სამ წელს 1,800 სექ, თითო საყენი—14 მან. სულ 25,000 მანეთისა.

მსურველთა უნდა გამოგზავნონ განცხადება მთავარ სამმართველოს კანცელარიაში ამ წლის 5-ს სექტემბრამდინ.

△ ქვეკასიის მაზრის ინტენერის სამარ-თველო გამოიხმობს მსურველთა, რათა იქი-სრონ იჯარით აღება ახალციხეში ყაზარის აშენებისა. იჯარისათვის დანიშნულია 8,226 მანეთი და 11 კაბ.

მაჭრობა იქნება 1 სექტემბერს (ენკენის თვეს) მთილისში ინტენერის სამმართვე-ლოში.

განცხადებანი

გამოვიდა და ისეიდება მთა-ისის გუბერნიის სტამბაში და აეტო-რის სახლში „მოკლე ახსნა ლთის ტაძრისა“ თვისის საზოგადო კუთ-ვნილობაებით და ნიშენელობაებით, საზოგადო ლეთის მსახურებათა: მწუ-ხრისა, სერობისა, შუა-ღამისა, ცის-კრისა, ჟამნების: 1, 3, 6 და 9-სა და წირვისა-ლიტურლიისა, — შედგე-ნილი ქართულის ენაზე მთ. საკა-თედრო სოზორ. პანდელაკს, მდედ-ლის რაჭვენ ვიზაშროპის მიერ. უსანი ყველგან ხუთი შაური (25 კაბ.) (3—2)

იბეჭდება და მოკლე დროში გა-მოვა გასასყიდათ ახალი ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი ყმაწვილე-ბისათვის, შედგენილი ანთიმოზ ჯუღელისაგან. (3—2)

ბალანსი ომისის გამსახეველ-გაგნახველი ამხანაგობისა 1 ს იანვრიდ მ 1 წლისა

აქტივი	მან.	კა.
1) ქასსა	156	9 1/2
2) სესხი მიცემული	176	
წყვრზე	6907	”
3) სარგებელი მიცემული ვა-დაზედ წინ გადახდილი ნასეს-ხისა	5	5
4) მთილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებში	155	30
5) სარგებელი მიცემული ნა-სესხებზედ	164	22
6) სამმართველოს ხარჯი	179	7 1/2
7) სათადარიგო თანხა	3	3
ბალანსი	7569	77

პასივი	მან.	კა.
1) წილის ფული შემოტანი-ლი 373 წევრისაგან	2896	40
2) სასარგებლოდ შემოტანი-ლი	40	”
3) სესხები აღებული მთი-ლისის კრედიტის დაწესებათაგან და კერძო პირთაგან	4225	”
4) სარგებელი აღებულია	385	24
5) ჯარისა აღებულია	14	80
6) სხვა და სხვა შემოსავალი	5	30
7) სათადარიგო თანხა	3	3
ბალანსი	7569	77

შენიშვნა: გამგეობა შეიყრე-ბა ხოლმე კვირაობით და ორშაბა-თობით დილის 9 საათიდან 2-ს საა-თამდის შუადღისა, და საღამოთი 4-ს საათიდან 10 საათამდის. რჩევა შეი-ყრება ხოლმე თვეში ერთხელ—კვირა დღეებში, პირველის რიც-ხვის შემდგომ. ამ ხანაგობა აძლევეს სარგებლებს სასარგებ-ლოდ შემოტანილ ფულზედ ვადით არა ნაკლებ 6 თვისა 6%, ანუ აზედ ექვსს, და წლის ვადიზედ და მომე-ტიებულზედ 7% ანუ შვიდს ასზედ. მთითონ იღებს სარგებელს გასესხებულ ფულზედ 12% ანუ ას-ზედ თორქვსა.

გამგანი: მ. ძალაგოვი და ბ. ოსეოვი

რ. გზა.	დღლა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცაცხლის გეგები	უოზბა	ბირჟა	მან.	კა.	მაზანდა	მან.	კა.
მთილისი	8 18	5			ა) შოთილამ:	ა) მთილისი და:	პეტერბურგი, 22 აგვისტ.			მთილისი, 26 აგვისტოს		
მცხეთა	9 08	6 23	68	38	ბ) დღესსიკენ — ორშაბ. დილის 8 საათ	სამზღვარ გარეთ, მთა., რუსეთს						
ბორი	11 24	9 36	40	12 9	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ.						
სურამი	1 51	12 30	92	2 1 8	ბ) კლხუმიდამ:	ოთხშ., მსურვეთს — პარასკ და						
ბეჟათუბანი	3 25		4	42 2 1 8	შოთს — სამშაბათს, ღამით.	ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშუღ და						
ქვირია	6 24		5	81 8 2 3	მდესას — კვირას, გათფენისას.	შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.						
მთაისი	7 45		6	75 3 7 5	შოთილამ: I II III	მთილისისა და შოთისაკ — ყო-						
სამტრედია	8 52		7	7 3 4 2 9	სოხუმამდი 4 3 1	ველ დღე, კვირას გარდა. მსურ-						
ახ.-სენაკი	9 52		8	5 7 4 7 6	ქვირამდი 20 50 15 50 5	ვეთს — ორშ. და პარასკ. შუგდიდს						
შოთი	11 33		9	7 5 5 4 2	ტავანროგ. 34 27 8 60	— ოთხშაბ.						
					მდესამდი, 38 30 9 60	გ) ბო რ ი დ ა მ .						
შოთი	7 38					შოველგან ყოველ დღე, კვირას						
ახ.-სენაკი	9 11		1	18 - 66	ტელეგრაფი მ. კაპ	გარდა.						
სამტრედია	10 12		2	6 1 14	მცი სიტყვა მთილისიდან:	დ) შოთ ი დ ა მ :						
მთაისი	11 17		3	4 1 6 9	მთაისის, შოთს 1	შოველგან ყოველ დღე, კვი-						
ქვირია	12 38		3	9 8 2 1	ბორს, დუშეთს, სიდნახს	რას გარდა.						
ბეჟათუბანი	3 27	ღამე	5	3 3 2 9 6	როსტოვს მდესას მოსკოვს	წიგნის გაკზენარუსეთში						
სურამი	4 57	12 30	5	8 4 3 2 4	პეტერბურგს, პარსავას 2	და სამზღვარ გარეთ;						
ბორი	7 23	3 31	7	3 6 4 9	მსპალეთში, შევიცარიაში	ლა წიგნის 4						
მცხეთა	9 52		9	8 5 4 1	იტალიაში და საფრანგეთში.	დაბეჭდილის (სამი მისხალი) 8						
მთილისი	10 49	8	2	9 7 5 5 4 2	ინგლისში 3 7 5							